საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№ 154

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების, სტრუქტურის და თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის #132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 22-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა (დანართი №1);

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები (დანართი №2)

3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დანართი #1
დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის
28 თებერვლის № 154 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება** (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში -„უნივერსიტეტის წესდება“) და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სასწავლო-სამეცნიერო სფეროს მიზნებსა და ამოცანებს, სტატუსს, ფუნქციებსა და კომპეტენციას, ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მართვის სისტემას, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის წესს და აწესრიგებს ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

მუხლი 3. ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლების პირობებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს სათანადო პირობებით სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევისათვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობას, სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. ფაკულტეტის დებულებას და სტრუქტურას ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 5. ამ დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 6. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, რომელშიც აისახება ფაკულტეტის სრული დასახელება.

მუხლი 7. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტი“

მუხლი 8. ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით.

თავი II. ფაკულტეტის სტატუსი. საქმიანობის მიმართულებები. მიზნები და ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია

მუხლი 9. ფაკულტეტის სტატუსი

1. ფაკულტეტი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილი უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული - სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. ფაკულტეტის საქმიანობის მიმართულები

1. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა.

2. ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების შემდეგ დარგებში:

ა) მათემატიკა;
ბ) ფიზიკა
გ) ქიმია;
გ) ბიოლოგია;
დ) გეოგრაფია;
ე) კომპიუტერული (საინფორმაციო) ტექნოლოგიები (კომპიუტინგი/ინფორმატიკა)
ვ) გამოყენებითი ბიომეცნიერებები;
ზ) ეკოლოგია.

3. ფაკულტეტის მიზნებია:

ა) სამოქმედო სფეროში ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობით, სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული:

ა.ა.) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, უმაღლესი აკადემიური განათლების მიღებით უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

ა.ბ.) მეცნიერების განვითარება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა; ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება; პიროვნების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

ბ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისების ხელშეწყობა.

4. ფაკულტეტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო

პროგრამების/კურსებისა შემუშავება და განხორციელება; ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ჩატარება;

გ) სახელმძღვანელოების შედგენა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოქვეყნება;

დ) სამეცნიერო მუშაობის ორგანიზება; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშეწყობა; თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა;

ე) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა; სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის სისტემის შემუშავება და დანერგვა;

ვ) მართვის სისტემის განხორციელება და სრულყოფა; მართვის საჯაროობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა; ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

ზ) სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისთვის და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

თ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით უზრუნველყოფა.

5. ფაკულტეტის სხვა ფუნქციები და ამოცანები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობას.

6. დაუშვებელია ფაკულტეტზე შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანზიაციების სტრუქტურული ერთეულები.

თავი III. ფაკულტეტის მართვის ორგანოები

მუხლი 11. ფაკულტეტის მართვის ორგანოს სტატუსი

1. ფაკულტეტის მართვის ორგანო არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მმართველი სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სფეროში ფაკულტეტის მართვას.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისადმინისტრაციული აქტებით.

3. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) დეკანი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადწყვეტილებებით.

3. ფაკულტეტის საბჭოს მოწვევის, წარმართვის და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით.

4. ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. ფაკულტეტის საბჭოს ამოცანები და ფუნქციები გამომდინარეობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონიდან და უნივერსიტეტის წესდებიდან. ფაკულტეტის საბჭოს ამოცანებით და ფუნქციებით განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილებათა ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების სახეა - ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება.

2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებაშია:

ა) ფაკულტეტის ბიუჯეტის განსაზღვრა;

ბ) ფაკულტეტის დეკანის არჩევა;

გ)ფაკულტეტის დეკანის მოადგილის/მოადგილეების დამტკიცება/არჩევა;

დ) ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;

ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დამტკიცება;

ვ) ფაკულტეტის დებულებისა და სტრუქტურის შემუშავება;

ზ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შემუშავება;

თ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესის შემუშავება;

ი) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა;

კ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევა ან დამტკიცება;

ლ) ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტის შემუშავება.

მ) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით მისთვის მინიჭებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

4. ფაკულტეტის საბჭო დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს.

5. ფაკულტეტის საბჭოს პასუხისმგებელია დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

მუხლი 14. ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრი არის ფაკულტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოში ფაკულტეტის შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულიდან არჩეული აკადემიური პერსონალის და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობიდან არჩეული სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოს წევრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით.

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება ხორციელდება 4 წლის ვადით, გარდა ამ დებულებით დადგენილი შემთხვევებისა.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება „“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით, ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით.

5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე. ფაკულტეტის საბჭოს წევრის ფუნქციებისა და ამოცანების ერთობლიობიდან გამომდინარეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

6. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

7. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება - აკადემიური პერსონალის შემთხვევაში;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელის შემთხვევაში;

დ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომის არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ოთხჯერ გაცდენის შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობითა და ამ დებულებით ან ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის დეკანს 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 3 კვირის და არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

3. უნივერსიტეტის წესდებით შეიძლება განისაზღვროს დეკანობის კანდიდატისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და მოქალაქეობის ნიშნით, ამასთან ფაკულტეტის დეკანად შეიძლება არჩეული იქნას მხოლოდ ამ ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

4. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ

აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

5. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.

6. ფაკულტეტის დეკანის არჩევასა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 16. დეკანის მოადგილე/მოადგილეები

1. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე (ბაკალავრიატის მიმართულებით და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მიმართულებით). ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს/მოადგილეებს დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ამტკიცებს/ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. დეკანის მოადგილე შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. დეკანის მოადგილე არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

2. დეკანის მოადგილის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით.

3. დეკანის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, დეკანის ან უნივერსიტეტის რექტორის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. 4. დეკანის მოადგილე უზრუნველყოფს:

ა) სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვას სწავლების ყველა დონესა და საფეხურზე;

ბ) ფაკულტეტის პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას;

გ) შუალედური შეფასებების და საბოლოო გამოცდების ჩატარების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებას;

დ) სამდივნოს მუშაობაზე კონტროლის განხორციელებას;

ე) დეკანის ბრძანებებისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების პროექტის მომზადებას;

ვ) სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის კონტროლს;

ზ) აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების კოორდინაციას;

თ) აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებას;

ი) უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით განსაზღვრული დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

5. დეკანის მოადგილის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. დეკანის მოადგილის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს.

6. დეკანის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, დეკანის, უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

7. დეკანის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს დეკანი. დროებით მოვალეობის შემსრულებელი შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს 1 თვის ვადით.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

3. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

4. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შექმნილი ორგანო.

2. სამსახურის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.

3. სამსახურის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების რეგულარული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

გ) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის მონიტორინგისა და უზრუნველყოფის სრულყოფილი მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად თანამშრომლობა;

დ) ფაკულტეტის ფარგლებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის ღონისძიებების განხორციელება;

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით ავტორიზაციისა და და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას;

ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების განხორციელებას;

გ)ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

დ) მონაწილეობს სწავლების ახალი პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებაში, კრედიტ-სატრანსფერო სისტემის სწორი გამოყენების კონტროლში, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზურნველყოფაში (სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზება);

ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებაში ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგში.

ვ) სწავლების თითოეული სემესტრის დასრულების შემდეგ ატარებს შეხვედრებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალთან, მასწავლებლებთან სტუდენტების სწავლების პროცესის დაგეგმვისა და მონიტორინგის მიზნით;

ზ) ატარებს სტუდენტების და აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის კომუნიკაციურ შეხვედრებს სტუდენტების მიერ სწავლების პროცესის შეფასების

კითხვარების ანალიზით;

თ) აფასებს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევებში;

ი) უზრუნველყოფს სასწავლო გეგმების-კურიკულუმების ოპტიმიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;

კ) სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სილაბუსების განხილვას და მათ აკადემიურ შეფასებას;

ლ) სასწავლო სახელმძღვანელოების განხილვას და სწავლებისათვის მათი გამოყენების განსაზღვრას.

მ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

5. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით.

6. სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

7. სამსახური უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული სამსახურის უფლებამოსილებათა განხორციელებაზე;

ბ) მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია კომპეტენციის ფარგლებიდან გამომდინარე.

8. სამსახური პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებზე,

9. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის პერსონალს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) აკონტროლებს სამსახურის პერსონალის მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

დ) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) იხილავს კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ საჩივრებს;

ვ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტის დეკანს და საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სამსახურის საქმინაობის შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფაზე, რომელიც საჭიროა სამსახურის ფუნქციების შესარულებლად;

თ) პასუხუსმგებელია სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ი) შუამდგომლობს სამსახურის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

კ) ახორიელებს სხვა უფლებამოსილებებს.

10) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება ამ სამსახურის ხელმძღვანელისა და კურიკულუმის სპეციალისტ(ებ)ისაგან.

თავი IV. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ორგანიზება და პროცედურები

მუხლი 19. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები არის ამ დებულებით დადგენილი წესით განხორციელებული საარჩევნო პროცესი, რომლის მიზანია ფაკულტეტის საბჭოს არჩევა პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებისა და

ამ დებულების შესაბამისად - პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით - არჩევნების ძირითადი პრინციპების საფუძველზე.

3. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან.

4. ფაკულტეტის საბჭოში აირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

5. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევა აკადემიური პერსონალის მიერ, ხოლო სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების - ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ.

6. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან აკადემიური პერსონალის მიერ, სტრუქტურულ ერთეულებში მათი რაოდენობების პროპორციულად. ფაკულტეტის საბჭოში სტრუქტურულ ერთეულს უნდა ჰყავდეს 1 წარმომადგენელი მაინც. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 21 წევრისა (საბჭოს 21 წევრის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია: დეკანი, 5 სტუდენტი, 15 აკადემიური პერსონალი). სტრუქტურული ერთეულებიდან ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების არჩევა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) ფაკულტეტის საბჭოში სტრუქტურული ერთეულიდან ყოველ 5 აკადემიურ პერსონალზე აირჩევა 1 წარმომადგენელი.

ბ) იმ შემთხვევაში თუ „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი პრინციპით გაანგარიშებული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ოდენობა აღემატება 21-ს, მაშინ ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულიდან ასარჩევი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N = X * 15 / Y$$

სადაც,

ბ.ა.) „N“ არის სტრუქტურული ერთეულებიდან ასარჩევი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ოდენობა;

ბ.ბ.) „X“ - სტრუქტურულ ერთეულში აკადემიური პერსონალის ოდენობა;

ბ.გ.) „Y“ - ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ოდენობა;

ბ.დ.) „15“ - ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის ზღვრული ოდენობა.

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი პრინციპით გაანგარიშების შედეგად არამთელი რიცხვის მიღების შემთხვევაში, შედეგი დამრგვალდეს მეტობით, თუ მეასედები 50 და მასზე მეტია. ხოლო სხვა შემთხვევაში - ნაკლებობით.

7. ფაკულტეტის საბჭოში ასარჩევ წარმომადგენელთა რაოდენობა სტრუქტურული ერთეულებიდან განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

8. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

9. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობიდან ასარჩევ წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის მთელი რიცხვი, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს 1/4-ის უმეტეს მთელ რიცხვს.ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები აირჩევიან 4 წლის ვადით.

10. ფაკულტეტის საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით. არჩევნები ტარდება მორიგი და რიგგარეშე.

11. ფაკულტეტის საბჭოს მორიგი არჩევნები იმართება 4 წელიწადში ერთხელ ამ დებულებით დადგენილი წესით.

12. ფაკულტეტის საბჭოში კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნების დანიშვნიდან 3 კალენდარული დღის შემდეგ. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 5 კალენდარული დღის განმავლობაში. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

13. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების დანიშვნის თაობაზე უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციულ აქტში განისაზღვრება კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა, კანდიდატთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, არჩევნების ჩატარების თარიღი და ადგილი.

14. ფაკულტეტის საბჭოში კანდიდატთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. დადგენილი წესით შესაძლებელია უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილებით უარის ეთქვას პირს რეგისტრაციაზე.

15. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზი, რომლის გამო პირს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 კალენდარული დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს 1 კალენდარული დღის განმავლობაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

16. ფაკულტეტის საბჭოში დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი აკადემიური პერსონალი ან სტუდენტი, რამდენიც რექტორის ადმინისტრაციული აქტით არის დადგენილი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის.

17. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში უფლებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მიიღო. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები.

18. ფაკულტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში აკადემიური პერსონალის რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, თუ ასეთი შემცირება იწვევს ცვლილებებს საბჭოს რაოდენობაში ამ დებულების შესაბამისად, მაშინ ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან იმ წევრს, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში ხმების ნაკლები რაოდენობა მიიღო. ასეთის არარსებობის დროს ტარდება რიგგარეშე არჩევნები. ასევე, თუ ასეთი შემცირება იწვევს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან დამატებითი წევრის არჩევას, მაშინ საბჭოს წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში საბჭოში არჩეული წევრების შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მიიღო შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები. ფაკულტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, თუ ეს ზრდა იწვევს ფაკულტეტის საბჭოს რაოდენობაში ცვლილებებს ამ დებულების შესაბამისად, მაშინ ტარდება რიგგარეშე არჩევნები ფაკულტეტის საბჭოში მხოლოდ საბჭოს წევრთა დამატებით რაოდენობაზე. ასევე, თუ ასეთი ზრდა ამ დებულებიდან გამომდინარე იწვევს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, მაშინ საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება ვადამდე. ფაკულტეტის რეორგანიზაციის (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების გაერთიანების, დაყოფის, მიერთების, გამოყოფის და სხვა) შემთხვევაში, ასევე, ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან გაუქმების შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულებში, რომლებსაც რეორგანიზაციით ან ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნით ან გაუქმებით ამ დებულებიდან გამომდინარე ცვლილებები შეეხოთ.

19. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შესაბამისი ფაკულტეტის სააარჩევნო კომისიის მეშვეობით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ფაკულტეტის საბჭოს

არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

20. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის თაობაზე ფაკულტეტის დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

21. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია დეკანის მიმართვის მიღებიდან 2 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ და აქვეყნებს ცნობას.

22. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად კანდიდატს ამ დებულებით დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

23. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადების თაობაზე ცნობა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების განცხადებების მიღებისა და რეგისტრაციის ვადების, არჩევნების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.

24. კანდიდატი რეგისტრაციაში გატარების მიზნით პირადი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას. პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში კანდიდატად ფაკულტეტის იმ სტრუქტურული ერთეულიდან, სადაც ძირითადად დასაქმებულია. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.

25.უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია რეგისტრაციის დასრულებისთანავე ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას. ერთიანი სიის საფუძველზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ბიულეტინების დაბეჭდვის შესახებ.

26. საარჩევნო ბიულეტენი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არჩევებში მონაწილე პირთა პერსონალურ მონაცემებს - სახელს, გვარს და კანდიდატის სტატუსი.

27.არჩევნები ჩატარებულად ითვლება (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით), თუ მასში მონაწილება მიიღო არჩევის უფლების მქონე პირთა 1/3-მა.

28.თუ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი რაოდენობა, იმართება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში მონაწილების უფლება აქვს პირველ ტურში მონაწილე ორ ან მეტ თანაბარი შედეგის მქონე კანდიდატს. არჩევნების მეორე ტური იმართება პირველადი არჩევნების ჩატარებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

29.არჩევნების მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო არჩევნების უფლების მქონე პირთა 1/3-მა და არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებულად მიიჩნევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების მეტ რაოდენობას.

30. თუ არჩევნებში მონაწილება არ მიიღო არც ერთმა კანდიდატმა ტარდება ხელახალი არჩევნები ამ დებულებით არჩევნებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 20. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. ფაკულტეტის საბჭოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. ასარჩევ კანდიდატებს, ამომრჩევლებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

3. არჩევნების დღეს იკრძალება საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

4. ფაკულტეტის საბჭოში არჩევნების დროს წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ)ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს (გარდა შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციული თანამდებობის პირი რეგისტირებულია, როგორც კანდიდატი) და

დამხმარე პერსონალს (გარდა შემთხვევისა, თუ პირს იმავდროულად უკავია აკადემიური თანამდებობა).

5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე, კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას.

7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებითა და დარბაზებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი. უარის თქმა მისი მიღებიდან ერთი დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 21. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ფაკულტეტის შესაბამისი სტურუქტურული ერთეულების მიხედვით ადგენს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

2. აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიები დგება სტრუქტურული ერთეულების მიხედვით.

3. ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული სტრუქტურული ერთეულის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

4. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის წევრი დასაქმებულია ერთზე მეტ სტრუქტურულ ერთეულზე, იგი შეიტანება იმ სტრუქტურული ერთეულის საარჩევნო სიაში, რომელზეც მას აქვს მეტი საათობრივი დატვირთვა. თუ აკადემიური პერსონალის წევრის საათობრივი დატვირთვა თანაბარია, იგი თავად განსაზღვრავს, რომელი სტრუქტურული ერთეულის აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიაში იქნეს შეტანილი.

5. ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩევლის სახელი და გვარი;

ბ) პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის მიხედვით – აკადემიური პერსონალისთვის.

6. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის საარჩევნო სიაში შეტანა.

მუხლი 22. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2.საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ, რომელზედაც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება სტრუქტრული ერთეულის დასახელებით;

ბ) აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

4. დაუშვებელია პირზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.

5. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 23. საარჩევნო ყუთი

1.არჩევნების ჩასატარებლად კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების აღჭურვას. თითოეულ საარჩევნო კომისიას გადაეცემა საარჩევნო ყუთი.

2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა განკუთვნილი

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი ფაკულტეტისა და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

5.თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 24. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები ტარდება რექტორის მიერ დანიშნულ დღეს.

2. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს კანდიდატების მიერ გაწეულ ხარჯებს.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

4. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ არჩევნების დღეს დილის 9 საათზე. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნეს:

ა) რეგისტრატორები;

ბ) საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი;

გ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი.

6.ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

მუხლი 25. არჩევნების პროცედურა

1. არჩევნების დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ 1 კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამორჩეველის ერთდროულად ყოფნა.

2. ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია რაიმე ფორმით სხვა პირის ნაცვლად ხმის მიცემა.

3. ამომრჩეველი ხმას აძლევს მხოლოდ იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელს,
სადაც ამომრჩეველი არის დასაქმებული.

4. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც
ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 26. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. არჩევნები მთავრდება არჩევნების დღეს 14.00 საათზე.

2. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 1/3-ი მაინც (სტრუქტურული ერთეულების მიხედვით).

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. საარჩევნო ბიულეტენების დათვლა ხდება სტრუქტურული ერთეულების მიხედვით.

5. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ე) მასზე არ არის მითითებული იმ ფაკულტეტის სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.

7. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ)არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 27. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი;

გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა; ასევე, კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

ბ) წარადგინოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში.

6. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

7. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 28. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ)ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;

ვ)მოწმეების ვინაობა(იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;

ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 29. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 30. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1.თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ)მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 31. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა

1. არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსებით. არჩევნების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის ბეჭდვით ორგანოში და გამოიკრება უნივერსიტეტის საინფორმაცია დაფაზე.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

3. ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომას იწვევს ფაკულტეტის დეკანი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

4.ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღებადამსწრეთა უმრავლესობით.

5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული ფაკულტეტის საბჭოს პირველი შეკრებისთანავე.

თავი V. ფაკულტეტის სტრუქტურა. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 32. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის სტრუქტურა მოიცავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად შექმნილ ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

2. ფაკულტეტის სტრუქტურას ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 33.ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.

2. ფაკულტეტის შემადგენლობაშია:

ა) სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - დეპარტამენტი;

ბ) დამხმარე სტრუქტურული ერთეული - ფაკულტეტის სამდივნო; ლაბორატორიები;

გ)ბიბლიოთეკა;

დ)ზოოლოგიის მუზეუმი.

მუხლი 34. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) მათემატიკის დეპარტამენტი;

ბ) ფიზიკის დეპარტამენტი;

გ) ქიმიის დეპარტამენტი;

დ) ბიოლოგიის დეპარტამენტი;

ე) გეოგრაფიის დეპარტამენტი;

ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

2. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და სტრუქტურული ერთეულის დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო. ფაკულტეტზე შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომლის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 35. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მიზნები და ამოცანებია:

ა) სასწავლო საქმიანობის ეფექტიანი მიმდინარეობის ხელშეწყობა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

გ) განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

მუხლი 36. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა

1. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს: ფაკულტეტის დეპარტამენტის შემთხვევაში - დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ამ სტრუქტურული ერთეულის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3.ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ამტკიცებს ან ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

4. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელს, თუ ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგენილია ერთი კანდიდატი.

5. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, თუ ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგენილია ორი ან მეტი კანდიდატი.

6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დამტკიცების/არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ფაკულტეტის რეგლამენტით.

7. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილების ვადა უწყდება ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტისთანავე. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე/დანიშვნამდე დროებით მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება იყოს:

ა) დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულება;

ბ) ეთიკური ნორმების დარღვევა;

გ) პირადი განცხადება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს იხილავს ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანის ან სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის აკადემიური პერსონალის 1/3-ის ინიციატივით.

8. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

9. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას. მათ შორის, ყოველწლიურად ადგენს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისათვის შემდეგი სასწავლო წლის სასწავლო დატვირთვის პროექტს და განსახილველად წარუდგენს დეპარტამენტის სხდომას, რომლის გადაწყვეტილებაც წარედგინება ფაკულტეტის დეკანს დასამტკიცებლად;

ბ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმების) და სილაბუსების შემუშავებასა და განხორციელებას;

გ) სისტემატიურად აკონტროლებს აკადემიური მოსწრების მდგომარეობას დეპარტამენტის მიერ წასაყვან საგნებში და პერიოდულად იხილავს მას დეპარტამენტის სხდომებზე;

დ) ამოწმებს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ ნორმატიული დოკუმენტებისა და ფორმების შევსების სისწორეს და ვიზირებას უკეთებს მათ დეპარტამენტის გარეთ წარდგენის შემთხვევაში;

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესწავლის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამყარებს საქმიან კავშირებს შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვას;

ე) ზრუნავს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;

ვ) ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის, სამეცნიერო პროექტების შედგენასა და განხორციელებას;

ზ) სასწავლო ჯგუფებს ამაგრებს ტუტორებს და წარმართავს მათ საქმიანობას;

თ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;

ი) დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტებს;

კ) ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 37. ფაკულტეტის სამდივნო

1. ფაკულტეტის სამდივნოს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

2.ფაკულტეტის სამდივნოს პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით.

3. ფაკულტეტის სამდივნო უზრუნველყოფს:

ა) სტუდენტთა პირადი საქმის შექმნას;

ბ) სტატისტიკის წარმოებას;

გ) ელექტრონულ ბაზაში სტუდენტთა მონაცემების შეტანას და ამ მიმართებით ბაზის სისტემატურ განახლებას;

დ) სიების, უწყისების და სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციის წარმოებას;

ე) სტუდენტებისათვის ცნობებისა და სხვა სახის ინფორმაციის (აკადემიური მოსწრების შესახებ და სხვა) გაცემას;

ვ) საგამოცდო უწყისების მიღებას/დამუშავებას/გაცემას;

ზ) დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა მონაცემების გადამოწმებას აკადემიური ხარისხის მინიჭების ბრძანების მოსამზადებლად და დიპლომის დანართის შესავსებად;

თ) საგამოცდო პერიოდში სტუდენტთა აკადემიურ და ფინანსურ დავალიანებაზე კონტროლის განხორციელებას;

ი) სტუდენტთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის სისტემატურ აღრიცხვას, საარქივო მასალების არქივისთვის გადაცემას;

კ) სხვა მითითებებისა და დავალებების შესრულებას.

მუხლი 38. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული

1.ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა ხორციელდება დამხმარე სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 39. დამხმარე პერსონალი

1. ფაკულტეტზე დამხმარე პერსონალის უფლებამოსილება, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრებს შესაბამისი ინსტრუქციებით და სამუშაოთა აღწერილობებით, რომლებსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციული აქტით.

2. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) ფაკულტეტის დეკანი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) მათემატიკის დეპარტამენტი;

ბ) ფიზიკის დეპარტამენტი;

გ) ქიმიის დეპარტამენტი;

დ) ბიოლოგიის დეპარტამენტი;

ე) გეოგრაფიის დეპარტამენტი;

ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

3. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ფაკულტეტის სამდივნო;

ბ) ლაბორატორიები;

გ) ბიბლიოთეკა;

დ) ზოოლოგიის მუზეუმი.

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების პოზიციური სტრუქტურა



დანართი #2
დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის
28 თებერვლის № 154 დადგენილებით

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა
თანამდებობრივი ინსტრუქციები

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ფაკულტეტის დეკანი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო
დაქვემდებარებული პოზიციები:	ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის მდივანი
სამუშაოს დელეგირება:	ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. უზრუნველყოფს ფაკულტეტის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად;
2. უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვას;
3. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის წლიურ სამუშაო გეგმას და ახდენს მისი შესრულების მონიტორინგს;
4. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევით პროექტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებულ ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევით პროფილებს;
5. შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
6. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეგირებისათვის წარუდგენს

ფაკულტეტის ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს;

8. მონაწილეობს ფაკულტეტის ხარჯვის ლიმიტის სტუქტურულ ერთეულებს შორის პარიტეტულ განაწილებაში (მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე). პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე და ახდენს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგს;
9. საქმისწარმოებას ახორციელებს „საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eFlow)“ და კორპორაციული ფოსტის საშუალებით;
10. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შეუფერხებელ მუშაობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
11. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე ფაკულტეტის შესახებ ინფორმაციის განახლებას;
12. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;
13. სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულებების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების გაწევის მიზნით აწსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამისი დადგენილების თანახმად აწარმოებს დოკუმენტების მომზადებას, განცხადებების განხილვას და მონაწილეობს შესაბამის საუნივერსიტეტო კომისიის მუშაობაში;
14. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს დეკანის მოადგილის, დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და მიმართულების ხელმძღვანელების (არსებობის შემთხვევაში) კანდიდატურებს;
15. იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებითა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევი პირებისათვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე რეკომენდაციის გაწევასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის ხელმძღვანელთა დასაბუთების გათვალისწინებით;
16. უზრუნველყოფს სასწავლო ცხრილების ელექტრონული ვერსიის შედგენას და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურისათვის დროულ მიწოდებას;
17. მუდმივ მონიტორინგს უწევს სასწავლო და საგამოცდო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას;
18. უზრუნველყოფს ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის დროულ მომზადებას და მიწოდებას სხვადასხვა ფორმით;
19. უზრუნველყოფს საფაკულტეტო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას და მაღალ დონეზე ჩატარებას;
20. უზრუნველყოფს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზაციულ მხარდაჭერას;
21. ხელს უწყობს ფაკულტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების აქტიურ მონაწილეობას საუნივერსიტეტო, საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებულ ღონისძიებებში;
22. ყოველწლიურად ამზადებს და შესაბამის ორგანოებს წარუდგენს ანგარიშს ფაკულტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
23. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	უნივერსიტეტის მართვის ორგანოები; უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ყველა სტრუქტურული ერთეული; სტუდენტური თვითმართველობა და სხვ.
უნივერსიტეტის გარეთ:	ადგილობრივი და უცხოური უმაღლესი სასწავლებლები; ბიზნეს სექტორი; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; შესაბამისი პროფილის კვლევითი დაწესებულებები; მასმედია; საჯარო სკოლები და სხვ.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი, აკადემიური ხარისხი
მუშაობის გამოცდილება:	- შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; - მოქმედი კანონმდებლობითა და ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობა.
უცხო ენების ცოდნა:	სასურველია
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow); აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; - დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი; - პრეზენტაციის გაკეთებისა და საკუთარი აზრის ეფექტურად გადმოცემის უნარი; - ლიდერობის, გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; - ავტორიზაციის სტანდატრები; - საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; - შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები (სასურველი).

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	ფაკულტეტის დეკანი
დაქვემდებარებული პოზიციები:	დეპარტამენტის ხელმძღვანელები, მდივნები, კომპიუტერული კლასის სპეციალისტები
სამუშაოს დელეგირება:	დეკანის სხვა მოადგილე (არსებობის შემთხვევაში) დეკანის გადაწყვეტილებით
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. უზრუნველყოფს სასწავლო და საგამოცდო პროცესის ეფექტურ წარმართვას სწავლების ყველა დონესა და საფეხურზე;
2. საგამოცდო პროცესის ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უზრუნველყოფს საგამოცდო სექტორში საგამოცდო დავალებების მიწოდებას წინასწარ დადგენილი ელექტრონული ფორმით;
3. ახორციელებს მონიტორინგს ფაკულტეტის პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი დისციპლინარული ვალდებულებების შესრულებაზე;
4. პირადი განცხადებების, საგანმანათლებლო პროგრამისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელთა წარდგენის საფუძველზე უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამებზე (არსებობის შემთხვევაში) თანამშრომელთა ხელშეკრულების წესით მოწვევისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას;
5. ახორციელებს კონტროლს დეკანატის მდივნების/სამდივნოს საქმიანობაზე;
6. მონაწილეობს სასწავლო ცხრილების შედგენის პროცესში;
7. ახდენს შესაბამის რეაგირებას სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაში შეფერხებების წარმოქმნის შემთხვევაში;
8. ამზადებს მოდულებზე, არჩევით საგნებსა და თავისუფალ კრედიტებზე სტუდენტთა განაწილების ბრძანების პროექტს;
9. კომისიის წევრის სტატუსით მონაწილეობს სტუდენტთა მოძრაობის (სტატუსის შეჩერება/აღდგენა/გარე და შიგა მობილობა) ორგანიზების პროცესში;
10. უზრუნველყოფს ზამთრის/ზაფხულის სკოლაში და დამატებით სემესტრში სტუდენტთა რეგისტრაციის შესახებ ბრძანებისა და სხვა საფაკულტეტო ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
11. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული

აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასა და მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.	
ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხუს-ი, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები და სხვ.
უნივერსიტეტის გარეთ:	ბიზნეს სექტორი; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; შესაბამისი პროფილის კვლევითი დაწესებულებები; მასმედია; საჯარო სკოლები და სხვ.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი, აკადემიური ხარისხი
მუშაობის გამოცდილება:	- შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; - მოქმედი კანონმდებლობითა და ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობა.
უცხო ენების ცოდნა:	არანაკლებ B1 დონე
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow); აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; - ლიდერობის, გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; - ავტორიზაციის სტანდატრები; - საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; - შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები (სასურველი).

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის საბჭო
ფუნქციონალური დაქვემდებარება:	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
დაქვემდებარებული პოზიციები:	ხუს–ის სპეციალისტი
სამუშაოს დელეგირება:	ხუს–ის სპეციალისტი
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები:

საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და განვითარების პროცესის მონიტორინგი.

ფუნქცია–მოვალეობები:

- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება-განახლებაში მონაწილეობა;
- ✓ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების არსებულ სტანდარტებთან, საკანონმდებლო აქტებთან და შიგა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ✓ აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, დაგემვის, განხორციელების და ცვლილებების შეტანის პროცესის ორგანიზება;
- ✓ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მობილობის პროცესის წარმართვა;
- ✓ სტუდენთა აკადემიური სტატუსის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა/წარმართვა;
- ✓ ფაკულტეტზე სწავლისა და სწავლების ხარისხის შიდა შეფასების პროცესის წარმოება;
- ✓ ფაკულტეტზე სწავლისა და სწავლების ხარისხის გარე შეფასების პროცესის ხელშეწყობა;
- ✓ სსიპ-განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ფაკულტეტზე განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მონიტორინგი;
- ✓ ფაკულტეტის მასშტაბით ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესების წარმოება;
- ✓ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სტუდენტების, ლექტორ-მასწავლებლების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებზე რეკომენდაციების გაწევა;

✓ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირის დამყარება; ✓ კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების პროექტის მომზადების უზრუნველყოფა; ✓ საფაკულტეტო კონფერენციების, სადისკუსიო ფორუმების, სემინარების, ვორქშოფების, კურსდამთავრებულთა გაცილების, კარიერის დღის, სტუდენტთა შემეცნებითი ღონისძიებების ხელშეწყობა/ორგანიზება; ✓ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარდგენა.	
ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ფაკულტეტის დეკანთან, დეკანის მოადგილესთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, დეპარტამენტების კოორდინატორებთან, სამდივნოსთან, სტუდენტებთან,
უნივერსიტეტის გარეთ:	სხვა უმაღლესი სასწავლებლები (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ), ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი, აკადემიური ხარისხის მქონე
	გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით - დროის მეჯმენტში, ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტებში, სწავლა/სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, კომუნიკაცია, პრეზენტაბელურობა, განათლების მენეჯმენტი.
მუშაობის გამოცდილება:	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 6 წლის გამოცდილება.
უცხო ენების ცოდნა:	ინგლისური; რუსული
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამების ცოდნა; MS Windows: Word, Excel, Powepoint; Outlook; E-FLOW
პროფესიული უნარ-ჩვევები:	• პუნქტუალურობა • ორგანიზებულობა; • გუნდური მუშაობის უნარი; • კომუნიკაბელურობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	✓ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; ✓ "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; ✓ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; ✓ "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი; ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

	✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები ✓ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პროცედურები ✓ საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტები; ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი და კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); ✓ მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი. ✓ აწსუ-ს მარეგულირებელი დოკუმენტები.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
დაქვემდებარებული პოზიციები:	–
სამუშაოს დელეგირება:	–
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან დავალებების მიღება, შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება;
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების განხორციელება;
3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირება ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე;
4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებაში მონაწილეობის მიღება;
5. სასწავლო გეგმების-კურიკულუმების ოპტიმიზაციას და საერთაშორისო სტანდარტებთან

შესაბამისობა; 6. სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სილაბუსების განხილვა და მათი აკადემიური შეფასება; 7. დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის მონიტორინგი; 8. მობილობის პროცესში მონაწილეობა; 9. კრედიტ-სატრანსფერო სისტემის სწორი გამოყენების კონტროლი; 10. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (კრედიტები, მოდულები და ა. შ.) დანერგვის პროცესში მონაწილეობა; 11. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზურნველყოფა (სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზება); 12. აკადემიური მოსწრების მონიტორინგი დაშესაბამისი რეკომენდაციების შეიმუშავება; 13. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა სწავლების პროცესის შეფასების მიზნით; 14. ხელს უწყობს სტუდნეტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევებში; 15. მონაწილეობს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა აღდგენის პროცესში; 16. პერმანენტულად ახორციელებს ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სააკრედიტაციო სისტემის გაცნობის, სტუდენტების სასწავლო პროცესით კმაოფილების შესახებ; 17. ახორციელებს დიპლომების დანართების შევსებისა და გაცემის მონიტორინგს; 18. კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს დოკუმენტაციის ასლების სისწორეს; 19. ორგანიზებას უკეთებს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამუშაო შეხვედრებს; 20. მონაწილეობს აწსუ-ს ქვედანაყოფებთან ავტორიზაციისა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრებასა და განხილვაში; 21. მონაწილეობს სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ანგარიშის მომზადებაში; 22. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასა და მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.	
ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	უნივერსიტეტის ხუს-ი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხუს-ი, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები და სხვ.
უნივერსიტეტის გარეთ:	–
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი
მუშაობის გამოცდილება:	- შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება; - მოქმედი კანონმდებლობითა და ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობა.
უცხო ენების ცოდნა:	არანაკლებ B1 დონე
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow); აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; - ანალიტიკური აზროვნების უნარი; - გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა, ზეწოლისადმი მდგრადობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდატრები; - აკადემიური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები; - საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; - შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი _____დეპარტამენტი
თანამდებობა:	დეპარტამენტის ხელმძღვანელი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
დაქვემდებარებული პოზიციები:	საგანმანათლებლო პროგრამების/მიმართულების ხელმძღვანელები, დეპარტამენტის პერსონალი
სამუშაოს დელეგირება:	დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი (დეკანთან შეთანხმებით)
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. შეიმუშავებს დეპარტამენტის წლიურ სამუშაო გეგმას და დეპარტამენტის სხდომის მხარდაჭერის საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

2. წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის ყოველსემესტრულ ანგარიშს;
3. ადგენს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური დატვირთვის პროექტებს და დეპარტამენტის სხდომის მხარდაჭერის საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
4. ამზადებს დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტებს და დეპარტამენტის სხდომის მხარდაჭერის საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
5. ანაწილებს ფუნქციურ მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომელთა შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
6. ანაწილებს სასწავლო, მეთოდურ და კვლევით სამუშაობს დეპარტამენტის თანამშრომელთა შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
7. ფაკულტეტის დეკანს, დადგენილი წესით, წარუდგენს წინადადებებს ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევ პირთა სამუშაოზე მიღების, დეპარტამენტის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, დამაგრებისა და წახალისების შესახებ;
8. ფაკულტეტის დეკანს, დადგენილი წესით, შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგენს მიმართულების ხელმძღვანელების (არსებობის შემთხვევაში) კანდიდატურებს;
9. იწვევს დეპარტამენტის სხდომებს დეპარტამენტის სამუშაო გეგმიდან გამომდინარე;
10. ისმენს კურატორთა (არსებობის შემთხვევაში) მუშაობის ანგარიშებს;
11. ჩართულია დეპარტამენტის თანამშრომელთა ლექციებზე დასწრების მონიტორინგში და უზრუნველყოფს აუდიტორიული მუშაობის შეუფერხებელ მიმდინარეობას;
12. ამოწმებს მასწავლებლის მიერ აუდიტორიული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების ხარისხს;
13. ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების შედგენისა და მათი განხორციელების პროცესს;
14. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ამყარებს საქმიან კავშირებს შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესწავლის მიზნით;
15. უზრუნველყოფს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების შერჩევასა და სტუდენტთა განაწილების პროექტის წარდგენას დეკანთან;
16. ზრუნავს დეპარტამენტის ინფრასტუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;
17. დეპარტამენტის დონეზე ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;
18. დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს დეპარტამენტის კვლევით პრიორიტეტებს;
19. პასუხისმგებელია საგამოცდო საკითხების/დავალების შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართულობასა და სილაბუსთან შესაბამისობაზე;
20. სისტემატურად აკონტროლებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობას დეპატამენტის მიერ განსახორციელებელ საგნებში და პერიოდულად იხილავს დეპარტამეტის სხდომებზე;
21. ამოწმებს დეპარტამეტის აკადემიური პერსონალის მიერ ნორმატიული ფორმების შევსების სისწორეს და ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტის გარეთ წარდგენის შემთხვევაში;
22. ასრულების ფაკულტეტის საბჭოსა და ადმინისტრაციის სხვა დავალებებს დეპარტამენტის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში.

ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:

უნივერსიტეტის შიგნით:	სასწავლო პროცესების მართვის სამსახური; უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის

	სამსახური; სტუდენტური თვითმართველობა; ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხუს-ი, სტრუქტურული ერთეულები და სხვ.
უნივერსიტეტის გარეთ:	ადგილობრივი და უცხოური უმაღლესი სასწავლებლები; ბიზნეს სექტორი; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; შესაბამისი პროფილის კვლევითი დაწესებულებები; მასმედია; საჯარო სკოლები და სხვ.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი, აკადემიური ხარისხი
მუშაობის გამოცდილება:	- შესაბამისი დეპარტამენტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; - მოქმედი კანონმდებლობითა და ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობა.
უცხო ენების ცოდნა:	სასურველია
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow); აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; - დეპარტამენტის სასწავლო, სამეცნიერო და ტექნიკური დოკუმენტაციის შინაარსობრივად სწორად შედგენის უნარი; - დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი; - პრეზენტაციის გაკეთებისა და საკუთარი აზრის ეფექტურად გადმოცემის უნარი; - ლიდერობის, გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდატრები; - საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; - შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ფაკულტეტის მდივანი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე
დაქვემდებარებული პოზიციები:	-
სამუშაოს დელეგირება:	
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. აწარმოებს სტუდენტთა ნიშნების წიგნს ელექტრონული და მატერიალიზებული ფორმით;
2. უზრუნველყოფს, ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული ფორმის მიხედვით, საგამოცდო უწყისების შედგენას, გაცემისა და მიღების აღრიცხვას და სისტემატიზაციას;
3. უზრუნველყოფს სტუდენტზე გასაცემი ნორმატიული დოკუმენტების მომზადებას და დადგენილი წესით მსვლელობის მიცემას;
4. უზრუნველყოფს სტუდენტთა კონტიგენტის შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ელექტრონული/მატერიალური ფორმით მომზადებას და დადგენილი წესით მსვლელობის მიცემას;
5. უზრუნველყოფს სტუდენტების პირადი საქმის წარმოებას აწსუ–ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით;
6. უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო ბარათის წარმოებას, უნივერსიტეტში შემუშავებული დებულების მიხედვით;
7. უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების შედგენას, უნივერსიტეტში შემუშავებული დებულების მიხედვით;
8. უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმის არქივში ჩაბარებას;
9. უზრუნველყოფს (კომპეტენციის ფარგლებში) ფაკულტეტის დეკანის მითითებების, დავალებებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილების შესრულებას.

ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:

უნივერსიტეტის შიგნით:	ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული; შემხებლობაში მყოფი სხვა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები.
უნივერსიტეტის გარეთ:	–

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი

მუშაობის გამოცდილება:	
უცხო ენების ცოდნა:	სასურველია
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow); აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების და სისტემატიზირების უნარი; - დოკუმენტაციის შინაარსობრივად სწორად შედგენის უნარი; - გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS); - ავტორიზაციის სტანდატრები (საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში); - საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამდებობა:	ფაკულტეტის კომპიუტერული კლასის სპეციალისტი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, შესაბამისი დისციპლინის განმახორციელებელი მასწავლებელი
დაქვემდებარებული პოზიციები:	–
სამუშაოს დელეგირება:	კომპიუტერული კლასის სხვა სპეციალისტი (დეკანთან შეთანხმებით)
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. მოამზადოს და სრულ მზადყოფნაში იქონიოს კომპიტერული კლასი სასწავლო პროცესის ნორმალურად ჩატარებისთვის;

2. შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობა; 3. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს თვალყური ადევნოს სტუდენტების მიერ კომპიუტერის სწორ და უსაფრთხო მოხმარებას; 4. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კომპიუტერებთან მუშაობისას ელექტროუსაფრთხოების საკითხებს; 5. წინასწარ შეამოწმოს ელექტროსადენებისა და ჩამრთველების საიმედოობა და შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით იზრუნოს მათ გამართულ მუშაობაზე; 6. სასწავლო პროცესის დასრულებისას გადაამოწმოს თითოეული კომპიუტერის ელექტრო–ქსელიდან ამორთვისა და დაცვის საიმედობა, განსაკუთრებით დასვენებისა და უქმე დღეების დროს.	
ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	ფაკულტეტის დეკანატი, შესაბამისი დისციპლინის განმახორციელებელი დეპარტამენტი
უნივერსიტეტის გარეთ:	–
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	უმაღლესი ან შესაბამისი პროფესიული განათლება
მუშაობის გამოცდილება:	კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.
უცხო ენების ცოდნა:	სასურველია
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა.
უნარ-ჩვევები:	- ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებში გამოყენებული კომპიუტერული პროგრამების ათვისებისა და გამოყენების უნარი; - გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; - ელექტრო–უსაფრთხოების წესები.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი _____დეპარტამენტი
თანამდებობა:	დეპარტამენტის სპეციალისტი
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დაქვემდებარებული პოზიციები:	-
სამუშაოს დელეგირება:	სხვა სპეციალისტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელის შერჩევით)
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია–მოვალეობები:

1. სამუშაოს შესრულებისას ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელის და მიმართულების ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე;
2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს დეპარტამენტის და მიმართულებათა (არსებობის შემთხვევაში) საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვაში;
3. უზრუნველყოფს საქმიანი მიმოწერისთვის საჭირო ინფორმაციის მომზადება/მიწოდებას დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის;
4. უზრუნველყოფს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისათვის საჭირო ინფორმაციის დროულ მიწოდებას;
5. მონაწილეობს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური დატვირთვის პროექტების შედგენაში;
6. მონაწილეობს დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტების მომზადებაში;
7. უზრუნველყოფს საგამოცდო საკითხების/დავალების ტექნიკურ გამართულობას;
8. უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მიწოდებას აკადემიური პერსონალისათვის;
9. წარმოადგენს დეპარტამენტის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს და აწარმოებს შიდა ინვენტარიზაციას;
10. ასრულებს დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და მიმართულების ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) სხვა დავალებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:

უნივერსიტეტის შიგნით:	ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული; შემხებლობაში მყოფი სხვა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები.
უნივერსიტეტის გარეთ:	–

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ინფორმაცია განათლების შესახებ:	დარგის შესაბამისი უმაღლესი განათლება
მუშაობის გამოცდილება:	
უცხო ენების ცოდნა:	არანაკლებ B1 დონე
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow).

უნარ-ჩვევები:	- მონაცემთა შეგროვების და სისტემატიზირების უნარი; - დოკუმენტაციის შინაარსობრივად სწორად შედგენის უნარი; - გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - კოლეგიალურობა და ეთიკურობა; - პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	- აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ"; - საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" (დეპარტამენტისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით); - შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

თანამდებობრივი ინსტრუქცია

სტრუქტურული ერთეული:	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი _____დეპარტამენტი
თანამდებობა:	ლაბორატორიის ლაბორანტი (_____მიმართულებით)
სამუშაო ადგილის მდებარეობა:	
სახელი, გვარი:	
სტრუქტურული დაქვემდებარება:	დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მიმართულების ხელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში)
დაქვემდებარებული პოზიციები:	-
სამუშაოს დელეგირება:	სხვა ლაბორანტი (დეპარტამენტის ხელმძღვანელის შერჩევით)
სამუშაო გრაფიკი:	ორშაბათი–პარასკევი 09:00 - 18:00 სთ (საჭიროების შემთხვევაში შაბათი) შესვენება: 13:00-14:00 სთ. *(შესვენებისათვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გამოყენებულ იქნას 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით)*

ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია მოვალეობები:

1. სამუშაოს შესრულებისას ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელის და მიმართულების ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) წინაშე;
2. პასუხისმგებელია შესაბამისი მიმართულების ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების მეთოდური მასალების სტუდენტებზე მიწოდებაზე;
3. პასუხისმგებელია შესაბამისი მიმართულების ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართულობასა და საჭირო მასალებით უზრუნველყოფაზე;
4. უზრუნველყოფს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას და წარდგენას.

ურთიერთქმედება სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან:	
უნივერსიტეტის შიგნით:	ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტი, მიმართულება (არსებობის შემთხვევაში), ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური.
უნივერსიტეტის გარეთ:	-
საკვალიფიკაციო მოთხოვნები:	
ინფორმაცია განათლების შესახებ:	დარგის შესაბამისი უმაღლესი განათლება
	• დარგის შესაბამისი სპეც საკითხების ცოდნა.
მუშაობის გამოცდილება:	შესაბამისი დარგის (პროფესიის) ლაბორატორიული სამუშაოების პრაქტიკულად შესრულება
უცხო ენების ცოდნა:	არანაკლებ B1 დონე
კომპიუტერული პროგრამები:	საოფისე პროგრამები; ინტერნეტი; კორპორაციული ელექტრონული ფოსტა; საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eFlow).
უნარ-ჩვევები:	– ტექნიკური დოკუმენტაციის შინაარსობრივად სწორად შედგენის უნარი; – ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენების უნარი; – გუნდური მუშაობის, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; – კოლეგიალურობა და ეთიკურობა; – პუნქტუალურობა და ორგანიზებულობა.
ნორმატიული აქტების ცოდნა:	– აწსუ- წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ფაკულტეტის დებულება და საუნივერსიტეტო სხვა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები; – საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; – საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“; – შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.